ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 31/19
(საქონლის შესყიდვა)

ქ. ზესტაფონი 2019 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“ შემდგომში „შემსყიდველი”, წარმოდგენილი ზოია ლელაძის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „დიმიტრი ხიჯაკაძის“ სახით შემდგომში „მიმწოდებელი” ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები”, ვმოქმედებთ, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში – „ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება” – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე”, „კვირა”, „თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი” – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი” – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სამეურნეო საქონლის შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-5 პუნქტით ამ კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის საშუალებისა და ვადების გამოყენებით.

კლასიფიკატორის (CPV)კოდი

24900000 - სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები·

31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი·

31600000 - ელექტრომოწყობილობები და აპარატურა·

39200000 - ავეჯის აქსესუარები·

42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის·

44400000 - სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები·

42900000 - სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები·

44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები·

44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები·

44800000 - საღებავები, ლაქები და მასტიკები

შესყიდვა ზღვრების შესაბამისად გაერთიანების დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

2.2. საქონლის ზუსტი დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება მოცემულია დანართი # 1-ში რომელიც თან დაერთვის ამ ხელშეკრულებას და მისი განუყოფელი ნაწილია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1698,5 (ათას ექვსას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დაკავშირებულს სქონლის მიწოდებასთან.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული ხარისხიანი, ახალი საქონელი ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მისამართზე - ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ#11 ში

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 2 დღეში;

გ) სამუშაოს შესრულების პარალელურად, ‘მიმწოდებელი” ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა “შემსყიდველისათვის”(საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

4. 2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

5. ხარისხი

5.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს.

5.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), ასევე იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი დეფექტის მქონე საქონლის შეცვლა შეტყობინების მიღებიდან 2(ორი) დღის ვადაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება წარმოებს სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

6.2 სქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება 2019 წლის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის(ხელშეკრულების შეწყვეტა)

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, ვალდებულებების ვადაგადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით,

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა)ერთერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების შესაბამისად ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

9.2.1 ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ბ) პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

გ) მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს ,შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პიდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

დ)შემსყიდველი უფლებამოსუილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

ე)მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

9.3 მიმწოდებელი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი უფლებამოსილი კომისია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 ივნისამდე.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი –შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ს/კ	2	3	0	0	9	1	4	1	4

დასახელება ა(ა)იპ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“
მისამართი ზესტაფონი წერეთლის ქ.№11
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000

გაერთიანების მმართველი

Unification of Zestafoni municipality preschool institutions

Digitally signed by Unification of Zestafoni municipality preschool institutions
Date: 2019.04.12 15:51:36 +04'00'

მიმწოდებელი

ს/კ	1	8	0	0	1	0	1	9	6	4	1

დასახელება ინდ. მეწარმე დიმიტრი ხიჯაკაძე
ტელ; № 551332121
მისამართი ქ. ზესტაფონი დიდგორის 12
ბანკი სს "საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE15BG0000000265487600

Dimitri Khijakadze

Digitally signed by Dimitri Khijakadze
Date: 2019.04.12 14:46:07 +04'00'